ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 717

დამატების № 126

კვირა, 7 ოქტომბერი 1912 წ.

ჰერმესი, ქანდაკება ანდროსისა. (პრაქსიტელის სკოლის ორიგინალის ასლი).
(იხილეთ ფელეტონები კიტა აბაშიძისა, „სახ. გაზ." № 716 და 717).

სიჩუმის გოდოლი

ისტორიული მოთხრობა

ვ. პესგუდისა.

(შემდეგი *).

— ფალესის ძმა, რომელიც მუხთლად მოჰკლა ფალესმა?

— დიახ, ერთმა აფთარმა მეორე მოჰკლა.

— იმ დროს, როდესაც დიდებულ სიჩუმის გოდოლს აშენებდნენ?—ჰკითხა ათრთოლებულმა ილისმა და ძალაუნებურად გადაჰხედა სარკმელიდან ზღვის ნაპირს, რომლის სიახლოვესაც შიშველ კლდეზე ამართული იყო უცნაური გოდოლი.

— დიახ!—ძლივს გასაგონად წარმოსთქვა მოხუცმა. სწორედ იმ დროს, როდესაც სრულდებოდა სიჩუმის გოდოლი, რომელსაც სამართლიანად უნდა დარქმეოდა სახელად „ბოროტ-მოქმედების გოდოლი", რადგან სასიკეთოდ არ უფიქრნია აზერიმს იმის აშენება... კეთილის მომასწავებელი არ იყო მისი საძირკვლის ჩაყრა.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 125

წინა ღამეს თავი მოიწამლა შვიდმა მონამ, რომლებიც ცოცხლად უნდა ჩაეყოლებინათ ამ საშინელ გოდოლის საძირკველში. დამთავრების დღეც ადამიანის სისხლით არის გაპოხიერებული.

— გამიგონია ეგ ამბავი, მაგრამ არ მახსოვს. მგონი შენ იცი, მოხუცო, ყველაფერი და გვიამბეთ!—სთხოვა მირბალმა.

— კარგი!—უპასუხა მოხუცმა—გამიგონეთ;

„ცამეტი ხუროთ-მოძღვარი აშენებდა სიჩუმის გოდოლს. იმათ შესწავლული ჰქონდათ ყოველი საიდუმლოება შენობის ხელობისა. აზერიმი დიდ სასყიდელს შეჰპირდა იმათ, თუ ისეთს ააშენებდნენ, როგორიც მას ჰსურდა. იქ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ხაზინის სალარო, სატუსაღოც ხელმწიფის წინააღმდეგ დამნაშავეთათვის და საიდუმლო თავშესაფარი მტრებისაგან თვით აზერიმისათვის. კიდევ ბევრი საიდუმლოებაა დაფარული ამ დაწყევლილს სისხლის გოდოლში, მაგრამ მოახლოვდა დრო და გამოაშკარავდება ეს საიდუმლო.

„როდესაც თითქმის დასრულდა შენობა, მხოლოდ ორიოდე ქვა იყო საჭირო—ხუროთ-მოძღვრებმა მოახსენეს აზერიმს, რომ იმის სურვილი და ბძანება შესრულებულია. აზერიმმა მოისურვა ნახვა ამ გოდოლისა და შიგ ყველა საიდუმლოებისა, მანა კი უარი გამოაცხადა ხუროთ-მოძღვრების დაჯილდოებაზე თორმეტი ხუროთ-მოძღვარი მოტყუვდნენ და გაჰყვნენ აზერიმს გოდოლის სანახავად. მეცამეტე კი უფრო ჭკვიანი და წინ დახედული გამოდგა. ის მიხვდა აზერიმის ბოროტ განზრახვას და აი, როდესაც ყველანი გამოვიდნენ გარედ, უფროსმა მათგანმა ჰკითხა აზერიმს:

„— მეფევ! კმაყოფილი ხარ თუ არა ჩვენის ნამუშევრით? გაძღა თუ არა შენი თვალები გოდოლის სიმშვენიერის ცქერით? გახსოვს თუ არა ყველა საიდუმლო ამ შენობისა?

„— სრულიად! — უპასუხა აზერიმმა.

„— მაშ მოგვეცი დაარსებული და გაგვიშვი ჩვენს გზაზე, რომ მხიარულად მივიდეთ ჩვენს ოჯახში და მოვისვენოთ ამდენი შრომის შემდეგ.

„— ეხლავ, ეხლავ!—ბოროტი ღიმილით უთხრა აზერიმმა, —ეხლავ მიიღებთ, რაც გერგებათ და მოისვენებთ კიდეც შრომისაგან?—და მან დაჰკრა ტაში მონების დასაძახებლად.

გახარებულ ხუროთ-მოძღვრებს ეგონათ რომ მონები ეხლავ მოუტანდნენ ოქროს პარკებით. მაგრამ მონების მაგივრად უეცრად გაჩნდნენ მხედრები, მეფის მცველები, ახალგაზდა იაკინლუს უფროსობით. და ხმალ ამოწვდილები მიცვივდნენ საბრალო ხუროთ-მოძღვრებს.

— ო, ღმერთებო! რა საშინელებაა! დაიყვირა ილისსმა და სახეზე მიიფარა ნაზი ხელები.

— დიახ, საშინელება იყო!—დაუმოწმა ქურუმმა აღელვებული ხმით. ბასრი ხმლებით წაჰკვეთეს ყველას თავები და დაუჩეხეს გულ-მკერდი. სისხლის ჩქეფად, ესხმოდა ახლად აშენებულ გოდოლის ყვითელ კედლებს. ამ სისხლის კვალი ეხლაც აჩნევია, წვიმას ვერ ჩამოურეცხია და მტვერს ვერ დაუფარავს.

„მაგრამ მოახლოვდა, დასასრული ამ გოდოლისა!..

— გვიამბე კიდევ!—სთხოვა მირბალმა.



არქაიული აპოლონები, ქანდაკებანი მე-8 საუკუნ. ქრისტეს დაბადებამ ე.ე, (იხილეთ კიტა აბაშიძის ფელეტონები, „სახ. გაზ. № 716 და 717).

— დიახ, დიახ! გვიამბე!—გაიმეორა ილისსმა — მაშ ცამეტივე დაიღუპა მაშინ?

— არა! იქ დაიღუპა მხოლოდ თორმეტი. მეცამეტე, როგორც გითხარით, უფრო წინდახედული გამოდგა. მას აქლემის ტყავი, რომელშიაც გახვეული იყო, უფარავდა რკინის ქუდს და საფარს. მტერმა ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა იმას. როდესაც სამი მხედარი მისცვივდა და დაუწყეს ხანჯლებით ცემა, მან ერთის ხმლის მოქნევით ძირს დასცა სამივე მხედარი, არეულობის დროს თავისუფლად გაიკვლია გზა და მიიმალა.

— სად არის ეხლა ის მამაცი?—ჰკითხა მირბალმა.

— ო, ღმერთებო! ახერებულია შენი კითხვა, ჭაბუკო! ჰკითხე ქარს, სად არის ის ეხლა, რომელიც გუშინ გიქროდა სახეზედ? სად არის ღრუბელი, რომელიც გუშინ დასცურავდა? სად არის არწივი, რომელიც შუადღისას ჰაერში დანავარდობდა?

„მაგრამ კმარა ლაპარაკი! თავს უშველეთ, შვილებო! გაიქეცით. წამომყევით, მე აგაშორებთ მტრებს, გიშოვნით ბინას, სადაც ვერ მოგაგნებენ. ამ ბინას ვაჩვენებ მხოლოდ ილისის მამას მატტანს. წავიდეთ!

და სამივენი გავიდნენ სახელოსნოდან.

II

საღამოს, როდესაც აგრილდა და ზღვიდან დაჰქროლა გრილმა ნიავმა, ტირის მფლობელი მოშორდა თავის ბინას და გავიდა მეორე განყოფილებაში, სადაც იმყოფებოდა ამის ქალი იეზაველ.

როდესაც პატარა ბაღჩას მიუახლოვდა, ფალესს მოესმა ვიღასაც საცოდავი კვნესა და იმავე დროს სიმების ჟღერა.

— იეზაველ თავს იქცევს, —წარმოსთქვა ფალესმა და სახე მოეღუშა.— მეშინიან, ერთობ არ სწევდეს ისარს. მეტად სარგებლობს ხელქვევითების შიშით... შეიძლება ერთ-ერთი იმათგანი, რომელსაც ის აწამებს სასოწარკვეთილების დროს მივარდეს მას და...—ფალესი შევიდა იეზაველის ბაღში.

— რათა გღია აქ ეს მონა?—სთქვა ტირის მპყრობელმა და ფეხი წაჰკრა ახალგაზრდა მონის შიშველ ტანს, რომელს სამეფო ტახტის საფეხურთან ეგდო უსულოდ. ტახტზედ იჯდა ლამაზი იეზაველ, მას გარს ეხვივნენ ათრთოლებული მონები.

— ღმერთებმა დასცეს მას ზარი მასხარად აგდებისათვის! — მიუგო იეზაველმა, რომელიც იჯდა ოქროს სკამზედ, ნახევრად თვალებ დახუჭული.

— როგორ?

— გუშინ საღამოს ამას ებრძანებინა: „მე უფრო ლამაზი ვარ იეზაველზედაო“.

— ნუ თუ?

— დიახ. და მე მას სუფთა წყალი დავალევინე იმ შადრევანიდან ამონაღები... როგორც კი გადაყლაპა—მაშინვე წაიქცა, თითქოს მეხი დასცემოდეს.

— იმიტომ რომ ჭიქაზე საწამლავი იყო მოცხებული რომელიც გუშინ გამოართვი ეგვიპტელ ვაჭარს... ძალიან კარგი საშუალება გიხმარია, ჩემო შვილო, მაგრამ... ეი! ვინა ხართ მანდ? გაათრიეთ ეს მძოვრი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალკანეთის ომის გამო



საბერძნეთის მეფე **გიორგი პირველი.**

ოსმალეთის სულთანი **მაჰომედ მეხუთე.**

ნ. პაშიჩი,
სერბიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ი. ე. გეშოვი,
ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი.

გენერალი პუტნიკი,
სერბიის ჯარის მთავარსარდალი.



ე. ვენიზელოსი,
საბერძნეთის მინისტრ-პრეზიდენტი.

ნაზიმ - ფაშა,
ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი.

ახმედ-მუხთარ-ფაშა,
ოსმალეთის დიდი ვეზირი.

მონებმა ათრთოლებული ხელებით აიღეს ამხანაგის უსულო გვამი და გაიტანეს. ფალეს მშვიდობიანად მიუჯდა გვერდით თავის ქალს, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს. ამ დროს ბაღის კუთხიდან მოისმა საცოდავი კვნესა.

— ეს ვიღა არის?—იკითხა ფალესმა.

— გიგის!—მიუგო ქალმა.

— შენი საყვარელი პატარა გიგის? — გაუკვირდა ფალესს. —რა მოუვიდა? მასაც დაალევინე შადრევანის სუფთა წყალი?

— არა... მას ისეთი დანაშაული არ ჩაუდენია, მამა, რომ სიკვდილით დამესაჯა. ამას გარდა ის ერთობ ძვირად მიღირს და ასე უბრალოდ არ მივცემ სიკვდილს.

— რა ჩაიდინა?

— შენ შემოსვლამდის მე მას უბრძანე დაევარცხნა ჩემთვის თმა. ის ერთობ დაფანტული იყო და ისე მაგრად ჩამომკრა სავარცხელი რომ თავი მატკინა.

— მერე?

— მე უბრძანე ჯვარზე გაეკრათ და ეხლა ჰყვირის, თითქოს ძალიან სტკიოდეს რამე... ცოტა შეუსივდება ის უშნო ხელები... დიდი ხანია ასეთი გაკვეთილი საჭირო იყო ამისთვის. მონებს ავიწყდებათ თავიანთი მოვალეობა.

— დიახ, დიახ, შენ მართალი ხარ! — დაემოწმა ყოველთვის მორჩილი მამა.—მაგრამ, ჩემო შვილო, ყური დაუგდე ჩემს რჩევას, ერთობ მაგრა ნუ მოსწევ ისარს თორემ...

— თორემ ან შვილდი გატყდება და ან ლარი გაწყდება, განა?—ეგ ჭეშმარიტება მე დიდი ხანია ვიცი მამა, და საჭირო არ არის მაგის გახსენება. მონებს ავიწყდებათ თავიანთი მოვალეობა და საჭიროა ხან და ხან მათრახით აუსუსხონ ზურგი.

— დიახ, დიახ, მართალი ხარ, ჩემო შვილო, მაგრამიცი....

— მგონია შენ ისევ შიშმა აგიტანა, მამა, რა მოხდა? აზერიმის აჩრდილი ხომ არ მოგეჩვენა? აზერიმის, რომელიც შენ მოჰკალი, რომ დაგეპყრა იმის ტახტი და იმის გამცემი ცოლი. ეს უკანასკნელი შემდეგ შენც გიპირებდა დახრჩობას.

— მე არ მომიკლავს აზერიმი, ღმერთებია ამის მოწმედ?

— მართლა, დამავიწყდა!—სიცილით სთქვა იეზაველმა.—შენ არ დაგიღვრია იმის სისხლი. შენ მხოლოდ გაეცი ბძანება, რომ ის სიჩუმის გოდოლში ჩაეგდოთ, სადაც სული დალია სიმშილით!

— ეს ჩემი ბრალი არ არის. აზერიმმა ააშენებინა ის გოდოლი და მასვე უნდა სკოდნოდა საიდუმლო გამოსასვლელი. ეს საიდუმლო სკოდნია მხოლოდ მეცამეტე ხუროთ-მოძღვარს, რომელსაც, იმ არეულობის დროს, კინაღამ მოეკლა ჩვენი ერთგული იაკინლუ და მიმალულიყო. ის რომ დაეჭირათ და წამებით ეთქმევინებინათ ეს საიდუმლო, კარგი იქნებოდა. თორემ გოდოლი ჩვენთვის გამოუსადეგარია ეხლა. იქ შესვლა არსაით არ შეიძლება თუ არ თოკის კიბით, რომელიც ზევიდან უნდა გადაჰკიდო. აზერიმ დაიღუპა თავისვე წინდაუხედაობით—ისე, როგორც ბევრი იმის მომხრეთაგანიც—შენ გავიწყდება, რომ მე ვასრულებდი შენს ჟინს და ბევრი დავლუპე იმ გოდოლში შენი ათვალწუნების გამო.

— ჩემი ათვალწუნების გამო? —ეგ ერთობ დიდი პატივი იქნებოდა მათთვის... მე ისინი მეზიზღებოდნენ და მინდოდა მომესრა...

— ნუღარ ვიდავებთ.—უბძანე გაანთავისუფლონ გიგის! იმის კვნესა არ მესიამოვნება...

— ერთობ გრძნობიერი გახდი, მამა! ძარღვები დაგისუსტდა!

— ცხელა! სიცხე მოქმედობს ჩემზედ!

— სიცხე! სიცხე არაფერ შუაშია! შენ ხშირად თვრები... რათა სვამ მაგდენ ღვინოს?

— მინდა თავ-დავიწყებას მივეცე... ყურძნის წვენი მიქარავებს მწარე ფიქრებს...

— ეგ სისუსტეა! წინედ ვაჟკაცი იყავი, მამაჩემო! შენი ერთის შემოხედვით თრთოდნენ შენი მტრები.

— დაჩუმდი!

— არა, არ დავჩუმდები! შენ დასუსტდი! გეშინიან ლომებზე სანადიროდ წასვლისა... სამი წელიწადია აღარ გინადირნია.

— დაჩუმდი!

— არ დავჩუმდები! რას აკეთებ ეხლა? არაფერს, მთელი კვირაობით ზიხარ სასახლეში, ხალხს არ ეჩვენები. ტაძარშიაც აღარ დადიხარ მსხვერპლის შეწირვის დროს; როდესაც გახურებულ ხარის გულში ისვრიან ხოლმე ცოცხალ ბავშვებს. იცი რას გეძახის ხალხი?

— არ მინდა ვიცოდე!

— მოიცა! ხირამს ეძახდნენ ბრძენს და დიდებულ იმის შვილს საადს—მტრის რისხვის დამცემს. გევს ეძახდნენ ბო-

როტს და შენ ლოთს ფალესს გეძახიან... უჭკუო ფალესს!..

— ვინც გაბედავს—მე უბრძანებ სასტიკად დასაჯონ...

— ყველას დასჯა დაგჭირდება:

— გაჩუმდები თუ არა? გავიწყდება, რომ ჩემი შვილი ხარ? მოვალე ხარ პატივით მოეპყრო მამას..

— ისეთ მამას, რომელიც მუდამ ღვინით გალეშილია?...

გაბრაზებული ფალეს წამოხტა ზეზე, თვალები ცეცხლით აენთო, სახ. მოემანჭა, უნდოდა სცემოდა თავის ქალს და საკუთარ ხელებით დაეხრჩო. იეზაველმა თვალი-თვალში გაუყარა, თითქოს უნდოდა სულში ჩაძრომოდა. ღონე მიხდილი და დაძაბუნებული ფალეს მოწყვეტილი დაეშო სკამზე და დაიწყო შუბლიდან ოფლის წმენდა.

— ნუ მაწამებ! ისეც დატანჯული ვარ! მითხარი რა გსურს? გინდა, უბძანებ, მოგართვან ჩემი საუნჯიდან ყელსაბამი, ბეჭდები, საყურები, კრიტის კუნძულზე გაკეთებული საუკეთესო ნივთები? გინდა გაჩუქო ახალი მარმარილოს სასახლე ზღვის პირად?

— არაფერი არა მსურს. მე თითონ იმდენი ოქრო და სიმდიდრე მაქვს, რომ არცკი ვიცი რა მოუხერხო... ჩემი ტანი ისეთი ლამაზია, რომ ის არ საჭიროებს სამკაულს დასამშვენებლად!..

— მაშ რა გწადიან?

— არაფერი. მე მომწყინდა და სხვა არაფერი! ცხოვრება ასე ფუჭია, უფერული! გართობა ერთ-ფეროვანი, სულელური! მზადა ვარ გავშორდე ტირის, შემძულდა... გამიგონე, უბრძანე მოამზადონ სამხედრო ხომალდები და ყველანი მე დამემორჩილონ... ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი შენგან!

— მერე, რად გინდა? მაგის ასრულება შეუძლებელია, რადგან სამხედრო გემები იცავენ მტრისაგან ტირს. ხომალდები რომ მოაშორო, ტირი დაიღუპება...

— რა საქმე მაქვს ტირთან? მეზიზღება ტირიც და მასში მცხოვრებნიც. დაე, დაიმხოს ეს საზიზღარი სიბინძურის ბუდე! მე უნდა წავიდე უეჭველად. მიზიდავს ზღვა, სამხედრო ხომალდით!..

— რა უნდა გააკეთო ზღვაში ხომალდით? შენ ხომ ვაჭარი არა ხარ, რომელიც ცდილობს საქონლის გასაღებას, არც მხედარი, საომრად გამზადებული?

— მე მხოლოდ ქალი ვარ!—მწარე ღიმილით წარმოსთქვა იეზაველმა.—მაგრამ ეს ჩემი ბრალია? განა მე მინდოდა ქალი ვყოფილიყავი?.. არა, ღმერთებმა დამცინეს, როდესაც მომცეს სხეული ქალისა და სული მამაცი, დაუცხრომელ მხედრისა, სავსე მღელვარე ვნებებით... მე არ ვსაჭიროებ ლოთობით თავდავიწყებას... სინიდისის ქენჯნას არ შეუწუხებივარ და არც შემაწუხებს ოდესმე...

— შენ ისევ მოჰყევ ჩემ დაცინვას? შემიბრალე!

— კარგი, აღარ დაგცინებ, მამა! მე შენ ჩემებურად მიყვარხარ, თუმცა არ დავფარავ, რომ წინად, როდესაც შენ უფრო მამაცი იყავი, უშიშრად ებრძოდი ლომსა და ვეფხვს, როდესაც შენ თითონ აწამებდი ჩვენ მტრებს და ამაყი, ლამაზი, შურის მაძიებელი, აღჭურვილი ბრწყინვალე იარაღით, უცქეროდი გასისხლიანებულ და დამსხვრეულ სხეულს შენი მსხვერპლისას, მაშინ უფრო მეტად მიყვარდი... მაშინ მე არავის ვხედავდი შენზედ მშვენიერს...

— გეყოფა, თავი დაანებე! მიკვირს რომ შენს ნაზ-ქალურ სხეულში დაუბუდნია დემონს.

იეზაველს ხმა მაღლა გაეკინა.

— წარმოიდგინე, მამა, გუშინ დილით ფარისის ქვრივმა, რომელიც შენ მაჩუქე მონად, ეგეევე მითხრა, როდესაც ბრძანება გავეცი იმის დასჯისა სიამაყის და ურჩობისათვის. როდესაც კვდებოდა—გაძახოდა, რომ მე ადამიანი კი არა, დემონი ვარ! შენც იმეორებ სიტყვებს იმ მონისას, რომელიც გუშინ ჩემ ფეხთა-ქვეშ გავსრისე.

— კარგად მოქცეულხარ! ისინი ყველანი გასასრესნი არიან. კმარა ამაზე! მიამბე, რას მოიქმედებ, როდესაც სამხედრო ხომალდით წახვალ ზღვაში? მოატანინე ღვინო და მიამბე, მე ყურს დაგიგდებ! უბრძანე ნახონ დასჯილი გიგის, იმის ხმა აღარ ისმის...

— შეიძლება მოკვდა! ჩემთვის სულ ერთია!..

იეზაველის ბრძანებით მონები გავიდნენ ღვინის შემოსატანად და დასჯილი მონის განსათავისუფლებლად.

შემოიყვანეს ნაწამები გიგის. სულ ერთიან სისხლით დაფარული საბრალო მონის ტანზე, გეგონებოდათ, წითელი პერანგი ჩაუცმევიათო. იეზაველმა სიცილით გადაჰხედა მას.

— გაიყვანეთ, სარდაფში ჩასვით და უთხარით ექიმ დედა-კაცს მოარჩინოს! ვნახავ ორი კვირის შემდეგაც ასე უხეიროდ დამვარცხნის თავსა თუ არა.. —

მონებმა ასწიეს თითქმის უსულო გვამი ახალ-გაზრდა მონისა და გაიტანეს.

— შენ გინდა იცოდე რას მოვიმოქმედებ ზღვაზე? გამიგონე, მამა. მე გავსცურავ არხიპელაგის ურიცხვ კუნძულებისაკენ. მივადგები ერთ-ერთ მათგანს, რომელზედაც რამოდენიმე ქალაქია გაშენებული. ნაპირზედ გადმოვსხამ ხომალდიდან ჩემს მხედრებს და ღამით შევესევით. ოთხი კუთხით ცეცხლს წაუკიდებ.—ალი ცათამდის ავარდება... ცეცხ-მოდებულ სახლებიდან ხალხი გარეთ გამოცვივა—აქ კარებში შეხვდება მათ ბასრი ხმლები!... არავის შებრალება, არავის შენდობა! დეე დაიღვაროს სისხლი, მდინარეთ შეერთოს ზღვას!—დეე ცეცხლის ალი ავარდეს შეშინებულ ცამდის!—

გათენებისას ჩემი ხომალდი მოშორდება იმ ნაპირს და თან წაიღებს აუარებელ სიმდიდრეს. აი, საითკენ მიისწრაფის არსება, მამაჩემო! კიდით-კიდემდი დასცურავს ჩემი ხომალდი და ყოველგან მიაქვს სიკვდილი, დამხობა და დამონება!

ფალესი გამოაცოცხლა ამ ამბავმა. მას თვალები გაუბრწყინდა, სახე აენთო და სიამოვნებით წარმოსთქვა.

— ეგრე, ეგრე, იეზაველ! შენს ძარღვებში ჩემი სისხლი სდუღს! მოიტათ კიდევ ღვინო! ყელი გამიშრა!

ამ დროს მარმარილოს სვეტებ-შუა გამოჩნდა შეიარაღებული მხედარი. ეს იყო იაკინლუ „მეფის ვეფხი“.

— ეს შენა ხარ, ჩემო იაკინლუ? მოდი, ჩემო ვეფხო! მონები დაგბანენ ხელსა და ფეხს, მოგართმევენ ღვინოს... იეზაველ მოუწოდებს მოცეკვავეთ და მემუსიკეთ, რომელნიც დაატკბობენ ჩვენს ყურთა-სმენას... მოდი ჩემო ერთგულო იაკინლუ!

— დიდი პატივია ჩემთვის, ჩემო მბრძანებელო! მაგრამ ქეიფისა და გართობის დრო არ არის... ცუდი ამბავი მოგიტანე!...

— წყეული იყავ, შავო ყვავო! ბოროტო მოციქულო! —დაიყვირა ფალესმა და ღვინით სავსე ჭიქა იატაკს სტყორცნა. წითელი ღვინო ადამიანის სისხლივით დაიღვარა მარმარილოს თეთრ იატაკზე.—ოდესმე მოსულხარ კეთილი ამბით, ძაღლო? ჯოჯოხეთის ნაშობო? მუდამ მაწამებ, მუდამ ვისმეზე მაღიზიანებ! მე უბრძანებ ჯვარზე გაგაკრან!... თავი დამანებე. ნუ მიმასევ კიდევ, ნუ მაღიზიანებ... დავიღალე... მომბეზრდა ეს დაწყევლილი სიცოცხლე!... რად დაუჯერეთ თქვენ... შენ, იეზაველ მხოლოდ ცამეტის წლისა იყავი მაშინ მაგრამ ნამდვილი დემონი იყავი... შენ... შენ მაქეზებდი მაშინ... მირჩევდი მომეკლა აზერიმი და დამეპყრა იმის ტახტი... შენა და აზა—აზერიმის ცოლი, რომელსაც ეგონა—რაკი ჩემი ცოლი გახდებოდა ტირსაც თავის ნებაზედ ატრიალებდა... თქვენ დამღუპეთ.. თქვენ ორთავემ!...

— გონს მოდი, მპყრობელო!—უთხრა იაკინლუმ და ერთი ნაბიჯი წასდგა წინ.—დროა გაიღვიძო! განსაცდელი მოახლოვებულია! შენ მტრებს არა სძინავთ:

— რაო?—წამოხტა ფალეს.—გავიქცე? საითკენ გავიქცე? ჩქარა! ჩქარა!..

იაკინლუმ და იეზაველმა ხელი სტაცეს მას და ძლივს დასვეს ალაგზე.

— მოგახსენოთ, ჩემო ბრძანებელო?—დაცინვით ჰკითხა იაკინლუმ.

— სთქვი!

— გამოვაშკარავე შეთქმულობა შენს სიცოცხლეზე, ჩემო მპყრობელო!

(შემდეგი იქნება)

ეფ. მესხი.